ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

მუნიციპალიტეტი: რუსთავი

ქვეყანა: საქართველო

რუსთავი -ინოვაციების ქალაქი

2018 წელი

მერის მიმართვა

რუსთაველებო

ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის, მდგარადობისთვის და კეთილდღეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი ეკონომიკის მწყობრი და თანმიმდევრული განვითარება. ეკნომიკური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმეო გეგმის შექმნა სწორედ ასეთი თანმიმდევრული განვითარების წინაპირობაა.

საჭიროა გაგვაჩნდეს საერთო ხედვა იმისა, თუ როგორი გვინდა იყოს ჩვენი ქალაქის ეკონომიკა მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორ უნდა მოხდეს მისი განვითარება, რა როლი უნდა შეასრულოს ამ პროცესში ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ბიზნეს სექტორმა და ჩვენმა საერთაშორსიო პარტნიორებმა.

21-ე საუკუნეში, მისი სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიებით, ყოველდღიური ინოვაციებით და რიტმით, აღარაა ადგილი ქაოტური და უსისტემო განვითარებისთვის. საჭიროა ქალაქს გააჩნდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა და მიმართულებები, რომელც ამავე დროს სინქრონიზირებული იქნებიან თანამედროვე გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან.

ქვემოთ მოყვანილი მოკლევადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სწორედ ამ სისტემატიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. მისი საშუალებით შეგიძლიათ გაიგოთ როგორ ხედავს ქალაქის დღევანდელი ხელისუფლება, მისი ადგილობრივი და საერთაშორსო პარტნიორები ქალაქის ეკონომიკის განვითარების უახლოეს ნაბიჯებს.

გეგმის შედგენის პროცესში ჩვენ ვეცადეთ მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები, ადგილობრივი და საერთაშროსო გამოცდილება, ჩენს სტრუქტურაში მომუშავე სპეციალისტების რესურსები და პარტნიორების დახმარება.

გეგმა მოიცავს ორწლიანი განვითარების ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს. იმ რესურსებისა და პარტნიორების ჩამონათვალს რომლებიც დაგვეხმარებიან გეგმაში გაწერილი საქმიანობების განხრციელებაში.

მაგრამ უმთავრესი რესურსი ესაა ყველა ჩვენგანის სურვილი და მისწრაფება გადავაქციოთ ქალაქი რუსთავი განვითრებულ, მდიდარ, ლამაზ, კომფორტულ, სიცოცხლისთვის უსაფრთხო ქალაქად.

ერთად ვიმუშაოთ ქალაქის ეკონომიკური განვითარებისთვის!

ერთობლივი ძალისხმევით დავძლიოთ ის გამოწვევები რაც დგას 21-ე საუკუნის ქალაქის წინაშე.

დავანახოთ ყველას, რომ ქალაქ რუსთავს ძალუძს გაუმკლავდეს მის წინაშე მდგარ პრობლემებს და ღირსეული ადგილი დაიკავოს 21-ე საუკუნის ქალაქებს შორის!

წარმატებები ყოველ ჩვენგანს!

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:
რევაზ ბარბაქაძე
მერის თანაშემწე სტარტეგიული განვითარებისა და ინოვაციების დარგში
მისამართი: ქალაქი რუსთავი, კოსტავას ქ. 20
ტელეფონი: +995 **558 11 633**
ელ-ფოსტა: municipality@rustavi.gov.ge

ვებ-ბგვერდი: www.rustavi.gov.ge

მოკლე შეჯამება

დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

SWOT ანალიზის მომზადები შედეგად გამოიკვეთა ეკონომიკური განვითთარების შემდეგი ასპექტები: ქალაქს გააჩნია სამომავლო ურბანული განვითარების კარგი რესურსი, ქალაქი არის ზრდადი, არსებობს პროფესიული გადამზადების ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს განვითარებადი ბიზნესის მოთხოვნების დაკმაყოფილებას კვალიფიციურ მუშახელთან დაკავშირებით. თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ქალაქში მიზანშეწონილი იქნება ლოჯისტიკური და სასაწყობო ინფრასტრუქტურის შექმნა. ქალაქს გააჩნია ტურისტული პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა. ქალაქის თვითმმართველობა არის ქვეყნის მასშტაბით ერთ ერთი ყველზე ღია და გამჭვირვალე. მზადაა ნებისმიერი სახის იდეების პილოტირებისთვის და განსაკუთრებით დაინტერესებულია ქალაქის ინოვაციური განვითარებით. მაქსიმალურად ხდება ადგილობრივი ადმინისტრაციული სერვისების გამარტივება და დეცენტრალიზაცია. ქალაქს გააჩნია დიდი მოცულობის რეკრეაციული სივრცეები რაც დასვენებისა და გართობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ბიზნესი, რეინვესტირების შემთხვევაში თავისუფლდება ადგილობრივი გადასახადისგან. ეს ყველაფერი კი იძლევა იმის წინაპირობას, რომ ქალაქი რუსთავი გახდეს ***რეგიონული ეკონომიკური და ლოჯისტიკური ცენტრი, მუდმივად მზარდი სამუშაო ადგილებით, დივერსიფიცირებული ეკონომიკით, პროფესიული გადამზადების კარგი ბაზით, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი და ინოვაციების მხარდამჭერი გარემოთი.***

იმისათვის რომ აღნიშნული ხედვა გახდეს რეალისტური საჭიროა შემდეგი მიზნების მიღწევა:

მიზანი 1. ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა

მიზანი 2. რუსთავის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა;

მიზანი 3. დასაქმების ბაზრის განვითარება;

აღნიშული მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ქალაქ რუსთავში არსებული მიწების ინვენტარიზაცია, საინვესტიციო პაკეტების მომზადება, ინვესტორებზე ზრუნვის სისტემის შექმნა, ქალაქის ბრენდის სტრატეგიის შექმნა, თვითმმართველობას, ბიზნესსა და საგანმანათლებლო სფეროს შორის საკომუნიკაციო ქსელის აწყობა და ამოქმედება, დასაქმების ფორუმემების ჩატარება, ქალაქის ტურისტული პოტენციალის კვლევა და განვითარება, ქალაქში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისთვის საჭირო ღონისძიებების მოწყობა.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების ჩატარების სორიენტაციო ღირებულებაა 445 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 290 000 ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის თანხა ხოლო 155 000 ლარის მოსაპოვებლად საჭიროა მუშაობა ადგილობრვი და საერთაშორისო დონორებთან.

სარჩევი

მერის მიმართვა 2
მოკლე შეჯამება 3
3. ცხრილების, დიაგრამების, შემოკლებების და დანართების ჩამონათვალი 5
3.1. ცხრილები 5
3.2. დიაგრამები 5
3.3 აბრევიატურები 5
3.4 დანართები 5
4. გეგმის შესავალი: 6
5.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 7
6. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი 7
7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 16
8. რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები 18
9. სამოქმედო გეგმა 19
10. დაფინანსების სქემა 23
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 25

3. ცხრილების, დიაგრამების, შემოკლებების და დანართების ჩამონათვალი

3.1. ცხრილები

ცხრილი#1 საწარმოთა კლასიფიკაცია მათი ზომების მიხედვით 8
ცხრილი #2 SWOT ცხრილი.....16
ცხრილი # 3 სამოქმედო გეგმა.....19
ცხრილი #4. დაფინანსების სქემა.....23
ცხრილი # 5 მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 25

3.2. დიაგრამები

დიაგრამა 1. დასაქმების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით: 9
დიაგრამა # 2 რუსთავის საწარმოო ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების სეტორული გადანაწილება.....12
დიაგრამა #3 - მიწის შეძენის მოთხოვნების რაოდენობა 2014-2018 წწ 13

3.3 აბრევიატურები

M4EG -მერები ეკონომიკური ზრდისთვის

LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

LED სამუშაო ჯგუფი - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაზე მოუშავე ჯგუფი

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

ა(ა)იპ -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი

SWOT ანალიზი – ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

3.4 დანართები

დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისგეგმის შემუშავების პროცესი;
დანართი ბ. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი;
დანართი გ. დასწრების ფურცელი # 1;
დანართი დ. დასწრების ფურცელი # 2.

4. გეგმის შესავალი:

2017 წლის ივლისში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ევროკავშირის ინიციატივასთან ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

ეკონომიკური განვითარება არის უმთავრესი წინაპირობა მუნიციპალიტეტის ზოგადი განვითარებისათვის.

ნებისმიერი განვითარება წარმოუდგენელია კარგად დამუშავებული ხედვის და მიზნების გარეშე. ღონისძიებები, რომლებიც არ ემსახურებიან გარკვეული, ერთიანი და ლოგიკური მიზნის მიღწევას არაეფექტური და წამგებიანია. სწორედ ერთიანი ხედვისა და მიზნების შექნას და მათ მისაღწევად საჭირო საქმიანობების და რესურსების განხილვას მოიცავს წინამდებარე დოკუმენტი.

M4EG საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს გახდეს იმ დიდი და საინტერესო პროგრამის მონაწილე, რომლის ფარგლებშიც პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტები საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების მეშვეობით შექმნიან ეკნომიკური განვითარების გეგმებს. პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია გეგმის განსახორციელებლად საჭირო დახმარების მიღებაც ინიციატივის დონორებისაგან.

წინამდებარე გეგმა მოდის შესაბამისობაში ქვეყნის განვითარების ოთხპუნქტიან გეგმასთან; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-თან, ქვემო ქართლის 2014-2020 წლის განვითარები სტრატეგიასთან, 2016-2020 სამთავრობო პროგრამასთან - თავისუფლება, სწრაფი ზრდა, კეთილდღეობა. ასევე, ეს გეგმა არის ლოგიკური გაგრძელება ქალაქ რუსთავში 2015 წელს შექმნილი საშუალოვადიან პრიორიტეტების დოკუმენტთან და 2016 წელს, მსოფლიო ბანკის მიერ შექმნილი საქართველოს ურბანულ სტრატეგიასთან და “2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან”.

ქალაქ რუსთავის ეკონომიკური განვითარების სტარტეგია და სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშ მოდის M4EG ინიციატივის 3 თემატურ ბლოკთან: 1) მიწა და ინფრასტრუქტრა; 2) ადამიანური კაპიტალი და ინკლუზიურობა; 3) გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.

ინიციატივაში ჩართვამ მუნიციპალიტეტს მისცა საშუალება ერთის მხრივ მიეღო ახალი ცოდნა და უნარები სტარტეგიული გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით, მეორეს მხრივ კი ერთობლივად ემუშვა ადგილობრივ ბიზნეს და სამოქალაქო სექტორთან აღნიშნული დოკუმენტის შესაქმნელად.

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 350 მეტრზე. მისი ტერიტორია 73,6 ათას კვ.კმ.-ს შეადგენს. მდინარე მტკვარი ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ყოფს. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები. ქალაქი რუსთავი დედაქალაქთან თანამედროვე საგზაო სისტემით (მაგისტრალით) არის დაკავშირებული. მანძილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე - 20 კმ, მანძილი განბაჟების ეკონომიკურ ზონამდე - 17 კმ, მანძილი აზერბაიჯანის საზღვრამდე - 30 კმ, მანძილი სომხეთის საზღვრამდე - 45 კმ მდებარეობს აბრეშუმის გზაზე

ქალაქ რუსთავის მოსახლეობა 2014 წლის აღწერის შედეგებით შეადგენს 125 000 ადამიანს. აქედან 52 % ქალი და 48 % მამაკაცი. 18-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა - 18 000 მდე. შრომისუნარიანი ადამიანების რაოდენობა შეადგენს 75 698. აქედან 40 000 მდე ქალია, დანარჩენი მამაკაცი. რუსთავი

ერთადერთი რეგიონული ქალაქია საქართველოში, რომლის მოსახლეობაც იზრდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსული ადამიანების ხარჯზე. 2014 წლის მონაცემებით, ქალაქიდან შიდა მიგრაციით გასული იყო 14 449 ადამიანი, ხოლო შემოსული - 43 872

5.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

რუსთავის მუნიციპალიტეტი მროგრამას M4EG შეუერთდა 2017 წლის აგვისტოში. ამავე დროს, მერის ბრძანებით დაინიშნა LED ოფიცერი, რომლის მოვალეობაც იყო სამოქმედო გეგმის შექმნის კოორდინირება. ბიზნესთან და სამოქალაქო სექტორთან რამდენიმე შეხვედრის შედეგად შეიქმნა LED ჯგუფი, რომელშიც შევიდა 4 წევრი: მერის თანაშემწე, ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი, არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)) წარმომადგენელი და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი.

მუშაობის პროცესში ჩატარდა 6 შეხვედრა ბიზნეს სექტორთან. პირველ შეხვედრას ესწრებოდა ქალაქში მოქმედი 40 მდე ბინზესის წარმოამდგენელი. ამ შეხვედრაზე მოხდა ინიციატივის პრეზენტაცია და ბიზნესმენებისაგან მნიშვნელოვანი მესიჯების მიღება. შემდგომი შეხვედრები კონკრეტულ ჯგუფებთან და იმართებოდა LED ჯგუფის მუშაობის პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებზე კონსულტაციების გასავლელად ადგილბრივ ბიზნესმენებთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები, რომლებიც გაიმართა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოების შესახებ, სადაც მოწვეული იყვნენ ქალაქში მოქმედი მსხვილი მეწარმეები და საუბარი შეეხებოდა იმ რეგულაციებს და საკანონმდებლო საკითხებს, რასაც ისინი აწყდებიან თავიანთ საქმიანობაში.

სამუშაო პროცესში მნიშვნელოვანი იყო ინიციატივა M4EG - ის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრები, სადაც ინიციატივაში ჩართულ მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ქონდათ მოეხდინათ თავიანთი გაწეული საქმიანობის პრეზენტაციები და მიეღოთ მათთან დაკავშირებული კომენტარები კოლეგებისაგან და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისაგან.

რუსთავის LED ჯგუფი გეგმაზე მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე იყო აქტიურ კომუნიკაციაში M4EG -ის და სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. გეგმის შემუშავების პროცესი რამდენჯერმე გააშუქა ადგილობრივმა ტელევიზიამ.

6. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

რუსთავი საქართველოს სიდიდით მეოთხე ქალაქია მოსახლეობის რიცხოვნების მიხედვით და ქვემო ქართლის მთავარი ურბანული ცენტრია. ქალაქი 1940-იან წლებში გაშენდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესის შედეგად და ითვლიდა 90-ზე მეტ მსხვილ და საშუალო ზომის ინდუსტრიულ საწარმოს. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში წარმოება ვარდნას განიცდიდა, დღესდღეობით რუსთავი ყალიბდება როგორც საქართველოს მთავარი სამრეწველო ცენტრი.

აქტივებისა და რესურსების გათვალისწინებით, ქმედითი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პოლიტიკის პირობებში, ქალაქს მრეწველობის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. მათ შორის, ეს ეხება აზოტის ქიმიური კომბინატის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ვაგონმშენებელი საწარმოს, ცემენტის და ლითონკონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პოტენციალს რუსთავში.

მრეწველობის შემდგომი ზრდა დამოკიდებულია არსებული სამრეწველო პოტენციალისა და მატერიალური აქტივების სრულ და ეფექტიან გამოყენებაზე. აქტივებისა და რესურსების ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების სტიმულირებაზე მიმართული ძალისხმევა, ხარისხზე და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მაქსიმალური წახალისება, ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემური ზრუნვა, საბანკო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, კაპიტალის ალტერნატიული ბაზრების ჩამოყალიბება და ზოგადად, სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების სათანადო გამოყენება გადამწყვეტ როლს შეასრულებს მრეწველობის სექტორის განვითარებაში.

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით რუსთავი შედის რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ხუთეულში.

ბოლო მონაცემებით რუსთავში მოქმედებს 3154 ბიზნეს სუბიექტი სექტორების მიხედვით, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები შემდეგნაირად ნაწილდებიან

ცხრილი#1

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	*რაოდენობა*	*მცირე*	*საშუალო*	*მსხვილი*
სულ რეგისტრირებულია	***583***	***97%***	***2%***	***1%***
სოფლის მეურნეობა:	19	*100%*		
სამრეწველო საქმიანობა:	*424*	*68%*	*15%*	*17%*
საცალო ვაჭრობა:	1752	*98%*	*1%*	
საბითუმო ვაჭრობა:	*19*	*95%*	*5%*	
სამედიცინო სერვისები:	*85*	*80%*	*20%*	
იურიდიული სერვისები (ნოტარიუსი, ადვოკატი):	*12*	*100%*		
საყოფაცხოვრებო სერვისები (პარიკმახერის მომსახურება, სამრეცხაო მომსახურება, ავტომანქანის შეკეთების სერვისები, მცირე შეკეთების სერვისები):	*324*	*100%*		
რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა:	*92*	*98%*	*2%*	
სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა:	*8*	*100%*		
IT სერვისები:	*48*	*100%*		
ტრანსპორტი:	*76*	*98%*	*2%*	
მშენებლობა, დეველოპერული ბიზნესი	*163*	*85%*	*15%*	

საკომუნიკაციო მომსახურება:	*4*	*100%*		
ნარჩენების გადამუშავება	*1*		*100%*	
კულტურული მემკვიდრეობა:	*1*	*100%*		
სხვა:	*126*	*100%*		

რუსთავის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის 38% -ს შეადგენს.

დიაგრამა 1. დასაქმების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით:



რუსთავი ძირითადად სპეციალიზირებულია მრეწველობაში და ასევე ითვლება რეგიონულ სავაჭრო ცენტრად. ამ ქალაქის უპირატესობაა სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობა, მოწესრიგებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სიახლოვე თბილისთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან. თბილისთან და მთლიანად რეგიონთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია დანახარჯები; იგულისხმება ცხოვრების, მუშა ხელის, მიწისა და უძრავი ქონების ხარჯები.

ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, თბილისთან სიახლოვე და განვითარებული საქალაქთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა რუსთავს აძლევს შესაძლებლობას განვითარდეს როგორც სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრი.

2009 წლიდან, რუსთავი გახდა უდიდესი ავტოსავაჭრო ცენტრი სამხრეთ კავკასიაში, რაც გამოწვეულია საავტომობილო ბაზრის თბილისიდან რუსთავში გადმოტანით. პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა უკრაინული კომპანიის მიერ. კომპანიამ გახსნა უდიდესი ავტო მარკეტი სამხრეთ კავკასიაში, რომელიც განლაგებულია დაახლოებით 50 000 კვადრატულ მეტრზე და იტევს 5000 მდე მანქანას. მომხმარებლები რუსთავში სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც ჩამოდიან. ბაზარი მიმზიდველია მათთვის დაბალი გადასახადებისა და მომსახურების სააგენტოს სიახლოვის გამო (სადაც ხდება მანქანის გადაფორმება). ბაზარზე სწრაფად იზრდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზა გადის ქალაქის სიახლოვეს და გაუმჯობესებული სარკინიგზო ხაზი მალე დააკავშირებს მას შავი ზღვის პორტთან.

2014 წლიდან ქალაქში აქტიურად ვითარდება დეველოპერული ბიზნესი. შეიძლება ითქვას რომ ესაა ქალაქში მოქმედი ყველაზე უფრო აქტიურად მზარდი სეგმენტი. დეველოპერული ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს ის ფაქტორებიც, რომძირითადი სამშენებლო მასალები, როგორიცაა ცემენტი და არმატურა იწარმოება რუსთავში. შესაბამისად - დეველოპერული ბიზნესი არის ადგიზე წარმოებული პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებელი და აქტიურ მონაწილეობას იღებს ღირებეულებათა ჯაჭვის შექმნაში.

ქალაქ რუსთავში იწარმოება რეგიონის მასშტაბით ისეთი უნიკალური პროდუქცია, როგორიცაა აზოტის სასუქი და უნაკერო მილების წარმოება.

ადგილობრივ კომპანიებს ასევე კარგი წვდომა აქვთ საერთაშორისო ბაზართან, ისინი დამოკიდებულნი არიან თურქეთიდან, უკრაინიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწარმოო საშუალებებზე. საბოლოო პროდუქცია ბაზარზე აღწევს სამხრეთ კავკასიის გავლით.

მრეწველობის დარგებს შეუძლიათ დაიმკვიდრონ თავი გლობალურ ბაზარზე, თუკი ისინი მიაღწევენ საერთაშორისო სტანდარტებს.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აწყობა

ადგილობრივი თვითმმართველობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მნიშვნელოვანი საკითხებზე მსჯელობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა უკავშირდება იმ მოთამაშეებს, რომელთა პროცესში ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აორგანიზებს შეხვედრას, სადაც ხდება საკითხის განხილვა, მისი მიზნების, საქმიანობებისა და მოსალოდნელი შედეგების პრეზენტაცია. ასევე ხდება პროცესში ჩასართავად არსებული მზაობის ზონდირება მონაწილეებს შორის. ადგილობრიცი ეკონომიკური სტრატეგიის მომზადების საწყის ეტაპზე, ქალაქის თვითმამრთველობის ინიციაიტივთ ჩატარდა ამდაგვარი შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს შეხვედრა იყო წინაპირობა სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად, რომელშიც შევიდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამათვრობო სექტორისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაქმნელად ესაა ყველაზე ოპტიმალური მეთოდი, რადგანაც რთულია სისტემატიურად შეკრიბო რამდენიმე ათეული ადამიანი და მოახდინო მათი საქმიანობის მაღალ დონეზე ფასილიტაცია.

შეხვედრების დროს მიმდინარეობდა მსჯელობა იმ საკანონმდებლო, ინფრასტრუქტურულ და ზოგადი პრობლემების შესახებ, რის წინაშეც დგას ბიზნეს სექტორი და რომლის გადაჭრაც შესაძლებელია ადგილობრივ თვითმამართველობასთან თანამშრომლობის შედეგად

ზოგადად ამა თუ იმ საკითხის მუნიციპალურ დონეზე გადასაჭრელად და რეალური ეფექტის მოსახდენად, ჯობია სამუშოები მიმდინარეობდეს მცირე ჯგუფებში და უკვე დოკუმენტის პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ მოხდეს დიდ აუდიტორიაში მისი სამსჯელოდ გატანა.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ქალაქ რუსთავის მუნციპალიტეტი მუდმივ რეჟიმში ცდილობს გააუმჯობესოს და ხელსმოსაწვდომი გახადოს საკუთარი სერვისების გაცემა როგორც მოქალაქეებისათვის ასევე ბიზნეს სექტორისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ბიზესისთვის კომფორტული, ხელსაყრელი და გამჭვირვალე გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის თვითმამართველობის უმთავრესი პრიორიტეტია. დაინტერესებული ბიზნესმენის ყოველგვარი დაბრკოლებისა და დაყოვნების გარეშე ახერხებენ კომუნიკაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რომლებიც კანონის ფარგლებში ეხმარებიან მათ მთელი რიგი ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული და საკადრო საკითხების მოგვარებაში. ქალაქის მერია სამომავლოდ გეგმავს უფრო მარტივი გახადოს სერვისების მიღება, ამ მიზნით ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვიტარების სააგენტოსთან და ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან. 2017 წელს, მერიაში დაინერგა მუნიციპალური მენეჯმენტის სისტემა (მმს), რომლის საშუალებითაც გამარტივდა და დაჩქარდა არქიტექტურული, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სექრვისების მიღება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რათა დაინერგოს ზემოთნახსენები სერვისების ონლაინ გაცემის სისტემა.

ქალაქი რუსთავი ერთადერთი რეგიონული ქალაქი საქართველოში, რომელსაც შემუშავებული და მიღებული აქვს ღია მმართველობის სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგიის ერთ ერთი მუმართულებაა სერვისების გაუმჯობესება. ასევე, რუსთავი ჩართულია საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში და საქართველოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმაში, რაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მერიაში ღია და კორუფციისაგან გამჭვირვალე გარემოს შექმნას.

ზოგადად ქალაქის გამჭვირვალობის ინდექსი მუდმივად მაღალ შეფასებას იღებს საერთაშორსიო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ. ქალაქს ასევე გააჩნია ღია მმართველობი სტრატეგია (ერთადერთი საქართველოს რეგიონებში), რაც მისი ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გარანტია.

წლების განმავლობაში რუსთავი აღნინშულია სხვადასხვა კვლევებში როგორც ყველაზე ღია და გამჭვირვალე მუნიციპალიტეტი, რაც ადასტურებს ქალაქის თვითმმართველობაში კორუფციული რისკების სიმცირეს -ეს კი თავის მხრივ კარგი წინაპირობაა ადგილზე ბიზნესის წარმოებისთვის.

6.4 წვდომა ფინანსებზე

ქალაქ რუსთავში საფინანსო სექტორი კარგადაა განვითარეული. აქ წარმოდგენილია საქართველოში მომუშავე თითქმის ყველა ბანკი და საფინანსო ორგანიზაცია. ქალაქის ბიზნეს სექტორის განვითარებას ხელს უწყობს სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოში, რომლის ფარგლებშიც 2015-2017 წლებში 15 - მდე სხვადასხვა ბიზნესი დაფინანსდა. რუსთავსი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მსგავს პროეტებს არ ახორციელებს

ფინანსებზე წვდომის შემაფერხებელ გარემოებას, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, წარმოადგენს მაღალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე.

გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს დამწყები ბიზნესმენების საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის შეზღუდული ცოდნა, რის გამოც მათ უძნელდებათ სრულფასოვანი ბიზნეს გეგმის შემუშავება და დაფინანსების მიღება.

6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა

ამ ეტაპზე ქალაქის თვითმმართველობამ დაიწყო ქალაქში არსებულ საწარმოო ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაცია. გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

რუსთავის საწარმოო ზონა ძალზედ პერსპექტიული სხვადასხვა სახის ბიზნესის განვითარებისთვის. ამ ეტაპზე აღწერილია შემდეგი ფართობის მიწის ნაკვეთები:

- მუნიციპალური საკუთრება 16,51 ჰა
- სახელმწიფო საკუთრება 316,95 ჰა
- კერძო საკუთრება 876, 51 ჰა

დიაგრამა # 2 რუსთავის საწარმოო ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების სეტორული გადანაწილება



როგორც ინვენტარიზაციის შედეგად ჩანს, მუნიციპალურ საკუთრებაში არის მიწის 1%, სახელმწიფო საკუთრებაში 26%, ხოლო კერძო საკუთრებაში 73%.

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გაფანტულია დიდ ფართობზე, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ძირითადად ერთმანეთის გვერდიგვერდაა.

რუსთავის საწარმოო ზონაში:

- მიწის ფასი შედარებით დაბალია თბილისთან შედარებით;
- აღნიშნულ ტერიტორიაზე და მის უშუალო სიხლოვეს (100-150 მ. მანძილზე) მდებარეობს ყველა სახის კომუნიკაცია (ელექტროობა, ბუნებრივი აირი, წყალსადენი, წყალარინების სისტემა);
- ზონაზე გადის რკინიგზის მთავარ ხაზი სხვადასხვა განტოტებებით;
- ზონაზე გადის საავტომობილო გზა;
- ქალაქში მოქმედებს მაღალი ძაბვის (35,110 და 220 კვტ) ქვესადგურები
- საავტომობილო გზიდან 50 მეტრის დაშორებით მდებარეობს ტექნიკური წყლის არხი.

არსებული მიწის რესურსები და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურა იძლევა კარგ შესაძლებლობას ქალაქის ტერიტორიაზე თავიზუფალი ეკონომიკური ზონის ან თავიზუფალი ინდუსტრიული ზონის მოსაწყობად. ამ საკითხი რამდნჯერმე იყო წამოჭრილი სხვადასხვა დონეზე და მას აქტუალურობა არ დაუკარგავს, თუმცარა რაიმე სახის აქტიური საქმიანობა ამ მიმართუებით ჯერ ჯერობით არ ხორციელდება

როგორც ჩანს ქალაქის ტერიტორიაზე არსებობს საკმარისი რაოდენობის მიწა კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით. მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ ამ მიწის მხოლოდ 1% ია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, რის შედეგადაც ინვესტორები იძულებული არიან ურთიერთობა იქონიონ ეკონომიკის სამინისტროსთან. ეს კი იწვევს ქალაქ რუსთავის თვითმმართველობის როლის შემცირებას ინვესტორებთან ურთიერთობის თუ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების განკარგვის დელეგირება არ მოხდება ადგილობრივ ხელისუფლებაზე, ჩნდება იმისი რისკი, რომ აღნინშული ტერიტორიებზე ან არ მოხდეს ეკონომიკური აქივობის გაზრდა ან განვითარდეს ისეთი ბიზნესი, რომელიც ქალაქს არ მოუტანს არც შემოსავალს და არც სამუშაო ადგილებს. ქალაქის საკუთრებაშია არსებული ტერიტორიების ნაკლებობა იწვევს მიწის შესყიდვით დაინტერესებული პირების მომართვიანობის კლებას ბოლო 4 წლის განმაბლობაში

დიაგრამა #3 - მიწის შეძენის მოთხოვნების რაოდენობა 2014-2018 წწ



6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციული ჩარჩოები

ადგილობრივი თვითმმართველობა ცდილობს მაქსიმალურად გაამარტივოს ის რეგულაციები რაც სჭირდება ბიზნესმენს საქმიანობის დაწყებისა და განვითარებისთვის. თვითმართველობის გააწყვეტილებით შესაძლებელია ბიზნესი, რეინვესტირების შემთხვევაში, გათავისუფლდეს ადგილობრივი გაასახადებისაგან. თვითმმართველობა ცდილობს, საინტერესო საინვესტიციო წინადადების შემოსვლის შემთხვევაში, მაქსიმალურად მოკლე დროში და კანონიერების ფარგლებში დააკმაყოფილოს ბიზნეს სუბიექტის მოთხოვნა.

ბიზნესის წარმოამდგენლები უჩივიან იმ ფაქტს, რომ არ არსებობს გარემოსდაცვითი ერთიანი სტანდარტები და მათი დადგენა ყველა საწარმოსთვის ხდება ინდივიდუალურად.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

ქალაქ რუსთავში არსებული ბიზნესერთეულები განიცდიან კვალიფიციური მცოდნე ტექნიკური კადრების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი იყო ინდუსტრიული ქალაქი და აქ ცხოვრობდა დიდი რაოდენობით ტექნიკური ინტელიგენცია, ბოლო 25 წლის განმავლობაში მომხდარმა ეკნომიკურმა პროცესებმა ცუდი კვალი დაამჩია კვალიფიციური კადრის საკითხს ქალაქში. ნაწილი ამ ადამინებისა, ვინც ქარხნებში მუშაობდნენ გარდაიცვალა, ნაწილი ქვეყნიდან წავიდა ან პროფესია შეიცვალა, ნაწილი კი ვეღარ პასუხობს დღევანდელ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს.

მართალია ქალაქში ფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების კოლეჯი მოდუსი, თუმცა მისი სიმძლავრე და რესურსები ჯერ კიდევ არაა საკმარისი არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე საწარმოს თავის ბაზაზე აქვთ გახსნილი გადამზადების კურსები, თუმცა ეს კურსები მხოლოდ მათ საკუთარ მოთხოვნებზეა მორგებული.

ქალაქ რუსთავის მერიას გააჩნია დასაქმების განყოფილება, სადაც თავს იყრის ერთის მხრივ სამუშაოს მძებნელთა მონაცემები და მეორეს მხრივ ბიზნესმენთა მოთხონვნები კადრების ძებნასთან დაკავშირებით. არსებული მდგომარეობით ბაზაში დარეგისტრირებულია 200 მდე სამუშაო მაძიებლიდან, ტექნიკური სპეციალობის მქონე ადამიანების აბსოლიტური უმრავლესონა არის 45 წელზე მეტი ასაკის. ახალგაზრდეს შორის არის ხუთამდე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, დანარჩენი მთხოვნელები არიან ან საშუალო განათლები ან სხვადასხვა ჰუმანიტარული სპეციალობების მქონე, რაზეც მოთხოვნა ნაკლებია.

მეორეს მხრივ კი ქალაქის საწაროებში ჩატარებული კვლევების შედეგად, მოთხოვნაა ტექნიკურ და საინჟინრო სპეციალობებზე. მსგავსი აცდენა მოთხოვნასა და მიწოდება შორის ზრდის უმუშევრობას და ხშირ შემთხვევაში ქმნის პერსონალის ქალაქის ან ქვეყნის გარედან შემოყვანის საჭიროებას.

პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა მოხდეს საკოორდინაციო ორგანოს შექმნა ადგილობრივ თვითმმართველობაში, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნესისა და პროფესიული გადამზადების ცენტრების სინქრონულ თანამშრომლობას. ქალაქის ხელმძღვანელობა მსგავსი სისტემის მუშაობას გაეცნო პოლონეთში ვიზიტისას და ჯეროვნად შეაფასა მისი ეფექტურობა.

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ქალაქ რუსთავს გააჩნია ბიზნესისი პერსპექტიული განვითარების რამდენიმე მიამრთულება, რომელთა სწორი წარმოჩინება და შეფუთვა დადებითად იმოქმედებს ინვესტორებზე.

ამ მიმართულებით დღემდე ჩატარებულია შემდეგი სახის ღონიძიებები:

2016 წელს, ქალაქის დღეების მიმდინარეობისას ჩატარდა ქალაქ რუსთავის ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და უცხოელმა ინვესტორებმა. ისინი გაეცნენ ქალაქის საინვესტიციო პოტენციალს. თუმცა ამ ღონისძიებას ქონდა ერთჯერადი სახე.

ქალაქის თვითმმართველობას მომზადებული აქვს რამდენიმე პრეზენტაცია როგორც ქალაქის საინვესტივციო შესაძლებლობების შესახებ, ასევე ქალაქში არსებული მიწის რესურსების შესახებ. აღნიშნული პრეზენტაციების გავრცელება ხდება სხვადასხვა საქმიანი ვიზიტების დროს.

ქალაქს ამ ეტაპზე არ გააჩნია მწყობრი საკომუნიკაციო სტრტეგია და მისი გარე პოზიციონირება ხდება სპონტანურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე.

ქალაქს არა გააჩნია სრულყოფილი ბრენდინგი

ნაკლებადაა გამოყენებული ისეთი კარგი შესაძებლობები, როგორიცაა ქალაქის უშალო სიახლოვეს არსებული ავტობაზრობა და შსს-ს მომსახურების სააგენტო. აქ მოსული ადმაიანების 90% არ შემოდის ქალაქ რუსთავში, რადგან არ აქვთ ინფორმაცია ქალაქის შესახებ. საჭიროა ავტობაზრობისა და მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განთავსდეს საინფორნაციო ბანერები, რომლის საშუალებითაც ადგილზერ მიზული მომზმარებელი შეძლებს მიიღოს ინფორმაცია ქალაქში არსებული ობიექტების შესახებ.

საჭიროა აღნიშნული საკითხის სისტემატიზაცია. შეიქმნას ახალი უწყება ან დაევალოს რომელიმე არსებულ განყოფილებას რომლიც იმუშავებს ქალაქის გარე პოზიციონირების საკითხებზე. კერძოდ: მოამზადებს პრეზენტაციებს, ვიდეორგოლებს, ბიზნეს ფორუმზებსა და გამოფენებს. ქალაქის დღეების ჩატარებისას, რომელსაც სტუმრობს 10 ზე მეტი ქვეყანის წარმომადგენელი განსაკუთრებული ყურაღება უნდა დაეთმოს პოტენციური ინვესტორებისთვის საინფორმაციო მასალის მომზადებას ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის და შესაძლებლობების შესახებ.

7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ცხრილი #2 SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • განვითარებული სატრანსპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა • განვითარებული ელექტრონული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; • პროფესიონალი ტექნიკური ინტელიგენცია; • მტკნარი წყლის დიდი რესურსის სიახლოვე; • განახლებადი ენერგორესურსები (ქარი, მზე) • გაუნაშენებელი დიდი სარეზერვო ტერიტორიების არსებობა; • ავტოსავაჭრო ცენტრი; • იაფი მუშახელი; • რეინვესტირების შემთხვევაში ადგილობრივი გადასახადებისგან განთავისუფლება; • მზარდი ადამიანურია რესურსი; • დიდი ფართობის (700 ჰა) რეკრეაციული სივრცეები; • მშრალი კლიმატი	• მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე; • მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი; • ინვესტიციების მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება; და ინვესტორებთან სიმწირე • ბიზნეს ასოციაციების ოპერირების დაბალი დონე. • ქალაქის ინდუსტრიული და ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიის არარსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• მეწარმეობის განვითარების პროგრამების განხორციელება დონორი ორგანიზაციების მიერ; • ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება;	• დაბალი საინვესტიციო აქტივობა; • პოლიტიკური არასტაბილურობა;

• ენერგიის ტრადიცილური და ალტერნატიული წყაროების ათვისება და გამოყენება; • პროფესიული გადამზადების მოქმედი კოლეჯი „მოდუსის“ და მისი ფაბლაბის ბაზაზე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში გადამზადება; • საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა; •	

SWOT ცხრილიდან ჩანს, რომ ქალაქ რუსთავს გააჩნია ტერიტორიული და ადამიანური რესურსები შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის. ტერიტორიული რესურსი იძლევა განვითარების შესაძლებლობას როგორც საწარმოოო ტერიტორიების გაზრდის, ასევე რეკრეაციულ დასასვენებელი და გასართობი ბიზნესის განვითარების მიმართულებით. ქალაქის სიახლოვე რეგიონის ძირითად სატრანსპორტო არტერიებთანა არის კარგი წინაპირობა ადგილზე ლოჯისტიკური და სასაწყობე მეურნეობების განვითარებისთვის. ქალაქში მოქმედი პროფესიული გადამზადების კოლეჯი საშუალებას იძლევა დასაქმების ბაზრის განვითარებისთვის, ხოლო მის ბაზაზე არსებული ფაბლაბი და საქართველოს ტექნოპარკთან ინტენსიური თანამშრომლობა ქალაქში ინოვაციურ თემებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითრების შესაძლებლობას იძლევა. სამომავლო პერსპექტივაში ქალაში შეიძლება განვითარდეს ალტერნატიული ენერგიის წყაროები. ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა. ზოგადად ქალაქის გეოგრაფიული მდგომარეობა საშუალებას იძლევა ქალაქმა დაიკავოს ადგილი იმ სეგმენტში რომელიც დღეისთვის თითქმის არაა განვითარებული - ტურიზმში. ქალაქში შესაძლებელია საბჭოთა პერიოდის ტურიზმის განვითარება. ასევე შესაძლებელია რუსთავი განვითარდეს როგორც ტურისტული ჰაბი, სადაც ერთის მხრივ მოხდება ტურისტების ბაზირების ადგილების შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ კი ქალაქის გარშემო არსებულ ტურისტულ ლოკაციებზე სამოგზაურო მარშრუტების შექმნა. მსგავსი ლოკაციები მრავლადაა რუსთავის გარშემო 100 კმ. რადიუსში.

ზემოთმული ანალიზიდან გამომდინარე, ქალაქში, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებლია განვითარდეს ან/და შეიქმნას შემდეგი ეკონომიკური მიმართულებები:

- ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოო ზონაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა;
- ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარება;
- რუსთავი როგორც რეგიონის ტურისტული ჰაბი;
- საბჭოთა დროის ტურიზმის განვითარება;
- ენერგორესურსების ათვისება;

- სასაწყობე მეურნეობების მოწყობა.

8. რუსთავის მუნიციპალიტეტის ხედვა და სტრატეგიული მიზნები

ხედვა

ქალაქი რუსთავი არის რეგიონული ეკონომიკური და ლოჯისტიკური ცენტრი, მუდმივად მზარდი სამუშაო ადგილებით, დივერსიფიცირებული ეკონომიკით, პროფესიული გადამზადების კარგი ბაზით, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი და ინოვაციების მხარდამჭერი გარემოთი.

მიზნები

მიზანი 1. ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა მათთვის საინტერესო და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნით

მიზანი თავის თავში მოიცავს აქტივობების ერთობლიობას, რაც ხელს შეუწყობს ქალაქს გახდეს უფრო მიმზიდველი ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის. მომზადდეს პროდუქტები, შეიქმნას სერვისები და ჩატარდეს ღონისძიებები რაც ამ დაინტერესების ზრდას და ინვესტირებას შეუწყობს ხელს

მიზანი 2. რუსთავის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა

ქალაქ რუსთავს, გამომდიანრე თავისი ისტორიიდან, არქიტექტურიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან, გააჩნია პოტენციალი გადაიქცეს მიმზიდველ ადგილად ტურიზმის სფეროში მომუშავე ბიზნესმენებისათვის. ამიტომ საჭიროა კარგად იქნეს გამოკვლეული ქალაქის ტურისტული პოტენციალი და თვითმამრთველობამ იაქტიუროს აღნიშნული მიმართულების განვითარებისთვის

მიზანი 3. დასაქმების ბაზრის განვითარება

საგანმანათლებლო, ბიზნესის და თვითმმართველობის სტრუქტურები არამარტო რუსთავში, არამედ მთელ ქვეყანაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ფაქტობრივად არ გააჩნიათ ინტენსიური კომუნიკაცია. შესაბამისად პროფესიული გადამზადების სასწავლებლებში არსებული სპეციალობები ვერ პასუხობენ ადგილობრივ გამოწვევებს. მსგავსი თანამშრომლობა აქტიურადაა განვითარებული თანამედროვე მსოფლოში. საჭიროა რუსთავში ჩამოყალიბდეს მსგავსი თანამშრომლობა რაც უფრო პროდუქტიულს გახდის პროფესიული გადამზადების სასწავლებლების საქმიანობებს, ხოლო დამსაქმებელს მისცემს საშუალებას დასაქმების ბაზარზე მოიძიონ და შეარჩიონ მათთვის საჭირო მუშახელი. მოსახლეობისთვის კი მნიშვნელოვანია, ზუსტად იცოდეს თუ რა მოთხოვნაა შრომის ბაზარზე და ამის მიხედვით შეარჩოს თავისი სამამვლო სპეციალობა და პროფესია. აღნიშნული პროცესისი სწორი წარმართვისთვსი მნიშვნელოვანია რომ ადგილობრივ თვითმმართველობას მასში ეკავოს კოორდინატორის როლი. მოახდინოს დაინტერესებული მხარეების კოორდიანაცია, ჩაატაროს დასაქმების ფორუმები და სხვა მსგავსი აქტოვობები.

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (იხ.ცხრილი 3) შემუშავებულია პროცესში ჩართული მხარეების თანამშრომლობის შედეგად. გეგმა ითვალისწინებს ინვესტორებისთვის საინტერესო და მიმზიდველი გარემოს შექმნას, ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის და ქალაქის დასაქმების ბაზრის განვითარებას. ქალაქის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ყველა ფენის მაქსიმალური ინკლუზია ეკონომიკის განვითარების პროცესში. გეგმის შესრულებაზე მთავარი პასუხისმგებელი უწყება არის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ზემოთაღნიშნული უწყება გეგმის შესრულების პროცესში აქტიურად ითანამშრომლებს ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტებთან, სამოქალაქო სექტორთან, მედიასთან და უცხოელ პარტნიორებთან.

ცხრილი # 3

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედებები*	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)*
მიწა და ინფრასტრუქტურა გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა მათთვის საინტერესო და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნით	1.1. ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის მიერ ქალაქის საწარმოო ზონაში არსებული მიწის ფონდის აღწერა, შესწავლა, კლასიფიკაცია	03/2019 – 10/2019	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სამშენებლო-ზედამხედველობის სამსახური,	40 000 ლარი	**Output**: ქალაქის საწარმოო ზონაში არსებული მიწის ფონდი აღრიცხულია, **ინდიკატორები:** აღწერის შეჯამების დოკუმენტი;	**Outcome:** შექმნილია წინაპირობა ქალაქის საწაროო ზონაში ბიზნეს ატორების დაინტერესების გასაზრდელად **ინდიკატორები:** გაზრდილია საინვესტიციო დაინტერესება
		1.2. საინვესტიციო პაკეტებისა და წინადადებების მომზადება	09/2019-02-2020	ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური, მოწვეული ექსპერტები	30 000 ლარი	**Output** სულ მცირე 5 საინვესტიციო პაკეტები მომზადებულია **ინდიკატორები:**მომმზადებული საინვესტიციო პაკეტების რაოდენობა	**Outcome:** გაზრდილია დაინტერესებული ინვესტორებისა და ჩადებული ინვესტივიების რაოდენობა

							ინდიკატორები: ახალი ან/და გაზრდილი საწარმოების რიცხვი
		1.3. ინვესტორთა საინფორმაციო ცენტრის და ინვესტორთა ზრუნვის სისტემის ამოქმედება	07/2019 – 12/2019	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური,	30 000 ლარი	**Output:** მერიის ეკონომიკური განვითარების განყოფილებაში შეიქმილია ჯგუფი, რომელიც შეძლებს ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, ასევე დაეხმარება მათ კომუნიკაციაში და რეგულაციების და მუშახელის მოძიებაში **ინდიკატორები:** ჯგუფი შექმნილი, გადამზადებული და მოქმედია	**Outcome:** ბიზნეზემენები უფრო მარტივად ახერხებენ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას. **ინდიკატორები:** ბიზნეს სუბიექტების მომართვისა და მათთვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა
		1.4 ინვესტორთა 2 ბიზნეს ფორუმის ჩატარება	2019 -2020	ქალაქ რუსთავის მერია, საერთაშორისო პარტნიორები	50 000 ლარი	**Output** მომზადა და ჩატარდება ინვოსტორთა 2 ფორუმი 2019 და 2020 წლებში **ინდიკატორები:** ღონისძიებებისა და მასზე დამსწრე პოტენციური ინვესტორების რაოდენობა	**Outcome: ქალაქში 20% ით** გაზრდილია ინვესტიციების რაოდენობა **ინდიკატორი:** განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	რუსთავის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა	2.1. ქალაქ რუსთავის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება	2019-05/2019-10	ქალაქ რუსთავის მერია, მოწვეული ექსპერტები	25 000 ლარი	**Output:** მოწვეული სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია რუსთავის ტურისტული პოტენციალი და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები **ინდიკატორები:** მომზადებული კვლევის დოკუმენტი	**Outcome:** ქალაქი რუსთავი გაჩნდა ახალ ლოკაციად ქვეყნის ტურისტულ რუკაზე **ინდიკატორები:** ქალაქში ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული ინვესტიციების რაოდენობა. ქალაქში ტურისტული ნაკადების რაოდენობა

		2.2. ქალაქ რუსთავის ბრენდის და კომუნიკაციის სტარტეგიის შექმნა	2019-10/ 2020-02	ქალაქ რუსთავის მერია, მოწვეული ექსპერტები	75 000 ლარი (25 000 ევრო)	**Output:** შექმნილია ბრენდი - ქალაქი რუსთავი, რომელიც თავის თავში მოიცავს: ბრენდის პლატფორმას, საკომუნიკაციო სტრატეგიას და რეკომენდაციებს, ბრენდის ვიზუალური კონცეფციას **ინდიკატორები:** ბრენდის სტარტეგიის დოკუმენტი	**Outcome:** სტრატეგიის ამოქმედების შედეგად გაუმჯობესებულია კომუნიკაცია ტურიზმის სექტორში მოქმედ ბიზნესმენებთან და დაწყებულია ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება. **ინდიკატორები:** ქალაქის პერსპექტიულ ტურისტულ მიმართულებებში ინვესტიციების რაოდენობა
		2.3. თანამშრომლობის ქსელის აგება პოსტსოციალისტურ და პოსტინდუსტრიულ ქალაქებთან ტურიზმის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად და შესაბამისი განვითარების დოკუმენტის შესაქმნელად	2020 წწ	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, საერთაშორისო პარტნიორები, დამეგობრებული ქალაქები, M4EG პროგრამის პარტნორები	30 000 ლარი (20 000 ევრო)	**Output**: თანამშრომლობის ქსელი შექმნილია და მისი მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ პოსტსოციალიტური და პოსტინდუსტრიული ქალქების ტურისტული პოტენციალის ზრდის მეთოდებს: **ინდიკატორები:** პარტნიორობის შედეგად შექმნილი განვითარების დოკუმენტი	**Outcome:** ქალაქში ვიტარდება პოსტსოციალისტური და პოსტინდუსტრიული ტურიზმის მიამრთულებები და რუსთავი ხდება მიმზიდველი ადგილი შესაბამისი ტურისტებისთვის **ინდიკატორები:** ტურისტული ინვესტიციებისა, ქალაქაში ახალი ტურისტული ლოკაციებისა და ტურისტების რაოდენობა
უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა	დასაქმების ბაზრის განვითარება	3.1. საკომუნიკაციო ქსელის აგება ადგილობრივ თვითმმართველობას, პროფესიული დასაქმების კოლეჯსა და ბიზნეს სექტორს შორის	2019-05/2019-10	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია/პროფესიული გადამზადების კოლეჯი მოდუსი/ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტები	20 000 ლარი	**Output:** ქსელი შექმნილია, მისი ფუნცია და აქმიანობა ჩამოყალიბებულია, თანამშრომლობის ნება გამოხატულია ყველა მონაწილე სუბიექტს შორის	**Outcome:** პროფესიული გადამზადების კოლეჯში გაზრდილია სასწავლო პროფესიების რაოდენობა. დაინტერესებული ადამიანები ეუფლებიან ქალაქში ყველაზე უფრო

						ინდიკატორები: თანამშრომლობის მემორანდუმი, ქსეილის სამოქმედო გეგმა	მოთხოვნად პროფესიებს. კოლეჯ - დამთავრებული ადამიანების დასაქმება გაზრდილია 30 % ით **ინდიკატორები:** კოლეჯიის სპეცილობების რაოდენობა, დასაქმებული კოლეჯდამთავრებულების რაოდენობა
		3.2. პროფესიული დასაქმების 2 ფორუმის ჩატარება	2019-2020	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია/ პროფესიული გადამზადების კოლეჯი/ ბიზნეს სექტორი/ პოტენციური ინვესტრები	20 000 ლარი (13 500 ევრო)	**Output:** ჩატარებულია 2 ფორუმი რომლის მონაწილეებიც გაეცვნენ ქალაქში დასქმების ბაზრის მდგომარეობას, მის პერსპექტივებსა და გამოწვევებს. **ინდიკატორები:** ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	**Outcome:** დასაქმების ბაზრის განვითარება და უმუშევრობის შემცირება **ინდიკატორები:** ქალაში უმუშევარი ადამიენების რაოდენობის შემცირება.

10. დაფინანსების სქემა

ცხრილი #4. დაფინანსების სქემა

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1. ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის მიერ ქალაქში არსებული მიწის ფონდის აღწერა, შესწავლა, კლასიფიკაცია	40 000 ლარი (13 200 ევრო)	40 000 (13 200 ევრო)					აღნიშნული მუხლი არ გამოიწვევს ცვლილებას ბიუჯეტში. ამ საქმიანობას ასრულებენ ქალაქ რუსთავის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის თანამშრომლები
1.2. საინვესტიციო პაკეტებისა და წინადადებების მომზადება	30 000 (10 000 ევრო)				30 000 (10 000 ევრო)		გაეროს განვითარების პროგრამა მზადაა გაუწიოს დახმარება რუსთავს საინვესტიციო პაკეტების მომზადებაში
1.3. ინვესტორთა საინფორმაციო ცენტრის და ინვესტორთა ზრუნვის სისტემის ამოქმედება	30 000 ლარი (10 000 ევრო)	30 00 ლარი					აღნიშნული მუხლი არ გამოიწვევს ცვლილებას ბიუჯეტში, რადგანაც ამ ფუნქციას შეითავსებენ ქალაქ რუსთავის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის თანამშრომლები
1.4 ინვესტორთა 2 ბიზნეს ფორუმის ჩატარება	50 000 ლარი (34 000 ევრო)	50 000 ლარი					ერთი ფორუმი ჩატარდება 2019 წელს, მეორე კი 2020 ში

2.1. ქალაქ რუსთავის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება	25 000 ლარი (16 700 ევრო)	25 000 ლარი (8 350 ევრო)					
2.2 ქალაქ რუსთავის ბრენდის და კომუნიკაციის სტარტეგიის შექმნა	75 000 ლარი (25 000 ევრო)	25 000 ლარი (8 350 ევრო)				50 000 ლარი (17 000 ევრო)	მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაეროს განვითარების პროგრამასთან თანადაფინასნების თაობაზე
2.3 თანამშრომლობის ქსელის აგება პოსტსოციალისტურ და პოსტინდუსტრიულ ქალაქებთან ტურიზმის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად და შესაბამისი განვითარების დოკუმენტის შესაქმნელად	30 000 ლარი (20 000 ევრო)	30 000 ლარი (10 000 ევრო)					აღნიშნული საქმიანობის დაწყება იგეგმება 2020 წელს
3.1 საკომუნიკაციო ქსელის აგება ადგილობრივ თვითმმართველობას, პროფესიული დასაქმების კოლეჯსა და ბიზნეს სექტორს შორის	20 000 (6 700 ევრო)					20 000 (6 700 ევრო)	მიმდინარეობს მოლაპარაკება დონორთან აღნიშნული საქმოანობის განსახორციელებლად
3.2. პროფესიული დასაქმების 2 ფორუმის ჩატარება	20 000 ლარი (13 500 ევრო)	20 000 ლარი (13 500 ევრო)					ერთი ფორუმი ჩატარდება 2019 წელს, მეორე კი 2020 ში
ჯამი	320 000 ლარი (107 000ევრო)	220 000 ლარი (73 000 ევრო)			30 000 ლარი (16 500 ევრო)	70 000 ლარი (23 300 ევრო)	

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ცხრილი # 5

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.1. ქალაქი რუსთავის თვითმამრთველობის მიერ ქალაქში არსებული მიწის ფონდის აღწერა, შესწავლა, კლასიფიკაცია და მათზე დაფუძნებულირუსთავში არსებული მიწის ფონდზე დაფუძნებით საინვესტიციო პაკეტებისა და წინადადებების მომზადება	03/2019 –10/2019	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მიწის ფონდი აღწერილია და დაწყებულია მუშაობა საინვესტიციო პაკეტების შესაქმნელად			
საინვესტიციო პაკეტებისა და წინადადებების მომზადება	09/2019-02/2020	საინვესტივიო პაკეტები მომზადებულია და მზადაა ინვესტორთათვის წარსადგენად			
1.2 ინვესტორთა საინფორმაციო	09/2019 – 02/2020	მერიის ეკონომიკური განვითარების			

ცენტრის და ინვესტორთა ზრუნვის სისტემის ამოქმედება		განყოფილებაში შეიქმილია ჯგუფი, რომელიც შეძლებს ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, ასევე დაეხმარება მათ კომუნიკაციაში და რეგულაციების და მუშახელის მოძიებაში			
1.3 ინვესტორთა 2 ბიზნეს ფორუმის ჩატარება	2019-2020		ჩატარდება პირველი ბიზნეს ფორუმი		ჩატარდება მეორე ბიზნეს ფორუმი
2.1. ქალაქ რუსთავის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება	2019-05/2019-10	ექსპერტების დაქირავება და კვლევითი მუშაობის დაწყება	მოწვეული სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია რუსთავის კურისტული პოტენციალი და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები		
2.2 ქალაქ რუსთავის ბრენდის და კომუნიკაციის სტარტეგიის შექმნა	2019-10/2020-02	შექმნილია ბრენდი - ქალაქი რუსთავი, რომელიც თავის თავში მოიცავს: ბრენდის პლატფორმას, საკომუნიკაციო სტრატეგიას და რეკომენდაციებს, ბრენდის ვიზუალური კონცეფციას			
2.2 თანამშრომლობის ქსელის აგება პოსტსოციალისტურ და პოსტინდუსტრიულ ქალაქებთან	2020		სავარაუდო პარტნორების მოძიება და საკომუნაკაციო მოდელის აგება, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება	გამოცდილების გაზიარების პროცესზე დაყრდნობით ტურისტული განვითარების დოკუმენტზე მუშაობა	ტურისტული განვითარების დოკუმენტის მომზადება, მიღება და ამოქმედება

ტურიზმის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად და შესაბამისი განვითარების დოკუმენტის შესაქმნელად					
3.1. საკომუნიკაციო ქსელის აგება ადგილობრივ თვითმმართველობას, პროფესიული დასაქმების კოლეჯსა და ბიზნეს სექტორს შორის	2019-05/2019-10	საკომუნიკაციო ქსელის კონცეფციის მომზადება, თანამშრომლობის მეომორანდუმის ხელმოწერა, ქსელის შეხვედრების ჩატარება	ქსელის ამოქმედება		
3.2. პროფესიული დასაქმების 2 ფორუმის ჩატარება	2019-2020		პირველი დასაქმების ფორუმის ჩატარება		მეორე დასაქმების ფორუმის ჩატარება
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		25%	40%	15 %	20 %